

## **მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა**

### **თავი I. შესავალი**

წინამდებარე დოკუმენტი აღწერს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემას (შემდგომში - სქემა), რომელიც სრულად პასუხობს საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის კომპლექსურ მიდგომებს გვთავაზობს. იგი არის მასწავლებლის პროფესიის სახელმწიფო რეგულირების საფუძველი. სქემა ემსახურება ხარისხიანი განათლების დამკვიდრებას და ეფუძნება თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

### **თავი II. ზოგადი დებულებები**

#### **სქემის მიზანი და ამოცანა:**

სქემის უმთავრესი მიზანია მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება მასწავლებლის სისტემური პროფესიული განვითარების გზით.

სქემის ამოცანაა მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის პრესტიჟის ზრდას, საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას, არსებული პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას.

#### **არსებული მდგომარეობა**

მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების დღემდე მოქმედი სისტემა ვერ აღმოჩნდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ეფექტური საშუალება. ამასთან, ნაკლებად ხდება ახალი, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, რაც განპირობებულია მასწავლებელთა შრომის დაბალი ანაზღაურებით, პროფესიის დაბალი პრესტიჟითა და სელექციის არაკონკურენტული, მოუქნელი მექანიზმით. ასევე, შეიმჩნევა მასწავლებლობის მსურველ სტუდენტთა რაოდენობის კლების დინამიკა, დაბალია იმ აბიტურიენტების საგამოცდო შედეგები და სტუდენტების აკადემიური მოსწრება, რომელთაც განზრახული აქვთ მასწავლებლის პროფესიაში შესვლა.

მთელი რიგი რეგიონების საჯარო სკოლებში შეიმჩნევა გარკვეულ საგნებში კვალიფიციურ სპეციალისტთა დეფიციტი. ასევე, რიგ საჯარო სკოლებში (განსაკუთრებით რეგიონებში) რამდენიმე საგანს ერთი და იგივე პედაგოგი ასწავლის, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ერთი საგნის სპეციალისტია. რაც, ბუნებრივია, ამცირებს სწავლა-სწავლების ხარისხს, პრესტიჟს უკარგავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და ზოგადად, მასწავლებლის პროფესიას.

მოქმედმა სისტემამ ვერ უზრუნველყო მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეფექტურობა.

მასწავლებლის მომზადების არსებული აკადემიური პროგრამები ვერ უძლავდება პროფესიაში არსებულ გამოწვევებს.

არსებული პრობლემების გადასაჭრელად შემუშავდა წინამდებარე სქემა.

### **სქემის დანიშნულება:**

- მასწავლებელთა მოსამზადებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება;
- მასწავლებლის პროფესიაში შესვლის გზების დივერსიფიცირება და ხარისხის კონტროლი;
- მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და შეფასების სისტემის ჰარმონიზაცია;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების სისტემის გამართვა და დაკავშირება პროფესიულ საქმიანობასთან;
- მასწავლებლის შეფასების კომპლექსური და ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რომელიც დაკავშირებულია კარიერულ ზრდასთან და ანაზღაურებასთან;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე პასუხისმგებლობის გადანაწილება და მათი აქტიური ჩართვა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებისა და შეფასების პროცესში.

### **სქემის დანერგვის შედეგად:**

- ამოქმედდება მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების სამართლიანი და მოსწავლის ინტერესებზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც წახალისებს მასწავლებლების პროფესიული განვითარებას;
- ამოქმედდება მასწავლებლის მხარდამჭერი პროგრამები, რაც გულისხმობს მასწავლებლებისათვის დამატებითი სერვისების განსაზღვრასა და მიწოდებას;
- დაინერგება არსებითი სახელფასო განსხვავება სქემით განსაზღვრულ სტატუსებს შორის და კარიერული წინსვლის მოქნილი მექანიზმი;
- პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა სქემით განსაზღვრული სტატუსის შესაბამისად აისახება შრომის ანაზღაურებაზე, რაც პროფესიაში ახალგაზრდების მოსაზიდად ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტიმულად იქცევა;
- სახელმწიფო სრულად დააფინანსებს მასწავლებლის მომზადების აკადემიურ პროგრამებსა (ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო აკადემიურ პროგრამას, მიმდევრობით პროგრამას, პარალელურ პროგრამას) და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (60 კრედიტიანი) ქვოტების მიხედვით.

### **ტერმინთა განმარტება**

ამ სქემაში გამოყენებულ ტერმინებს ამ სქემის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მასწავლებელი – „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 21 ნოემბრის N1014 ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით (შემდგომში - მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი) განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ერთ საგანს მაინც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) სქემით განსაზღვრული სტატუსი - პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, ან მენტორის სტატუსი, რომელიც მასწავლებლის შეფასების/სქემაში მასწავლებლების განაწილების საფუძველზე მასწავლებელს ენიჭება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მასწავლებელთა

პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;

გ) პრაქტიკოსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც გეგმავს და წარმართავს საგაკვეთილო პროცესს „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის (შემდგომში - ეროვნული სასწავლო გეგმა) მოთხოვნების შესაბამისად;

დ) უფროსი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი სერტიფიკატით დადასტურებული აქვს საგნობრივი და მეთოდური კომპეტენციები;

ე) წამყვანი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს უფროსი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიმუშავებს საგნის სწავლების ეფექტურ სტრატეგიებსა და სასწავლო რესურსებს, შედეგებს უზიარებს კოლეგებს;

ვ) მენტორი - მასწავლებელი, რომელიც აკმაყოფილებს წამყვანი მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, არის სხვა მასწავლებლების კონსულტანტი, ხელმძღვანელობს სტუდენტებისა და დამწყები მასწავლებლის პედაგოგიურ პრაქტიკას;

ზ) მასწავლებლის პროფესიული საქალაქე - სქემით განსაზღვრული სტატუსის შესატყვისი კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტების (შემდგომში - დოკუმენტები) ორგანიზებული კრებული;

თ) თვითშეფასების კითხვარი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმა, რომლის საფუძველზეც მასწავლებელი ახორციელებს თვითშეფასებას, გეგმავს პროფესიულ საქმიანობას;

ი) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორი (შემდგომში - ფასილიტატორი) - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი (მენტორი - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელსაც ირჩევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგიური საბჭო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით;

კ) განმავითარებელი შეფასება - მასწავლებლის შეფასება, რომელიც ეხმარება მასწავლებელს პროფესიულ განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში;

ლ) გაკვეთილის შეფასების რუბრიკა - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი) დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება გაკვეთილის შეფასების გაზომვად და ვალიდურ კრიტერიუმებს და არის მასწავლებლის გაკვეთილის შეფასების უნიფიცირებული ფორმა;

მ) მასწავლებლის შეფასების ელექტრონული სისტემა (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) - საჯარო სამართლის იურიდიული პირის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) მიერ ადმინისტრირებული ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილს. ელექტრონული სისტემის საშუალებით მასწავლებლები განაწილდებიან სქემაში და განხორციელდება მასწავლებლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა;

ნ) კრედიტქულა - მასწავლებლის პროფესიული მიღწევების გაზომვისა და შეფასების ერთეული;

ო) გარე დაკვირვება - საკლასო დაკვირვება, რომელიც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში ხორციელდება ერთხელ;

პ) სამოდულო გაკვეთილი - წამყვანი მასწავლებლის ან მენტორის მიერ ჩატარებული საჩვენებელი გაკვეთილი;

ჟ) მოქმედი მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც ამ სქემის ძალაში შესვლის დროისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მასწავლებლის თანამდებობა;

რ) საგნის გამოცდა - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდა;

ს) სერტიფიცირებული მასწავლებელი - მოქმედი მასწავლებელი, რომელსაც 2014 წლის ბოლომდე მოპოვებული აქვს მასწავლებლის სერტიფიკატი;

ტ) მასწავლებლის შეფასება - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა, რომლის საფუძველზეც ხდება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან მასწავლებლის შესაბამისობის დადგენა;

უ) საპრეტენზიო კომისია - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია, რომელიც განიხილავს მასწავლებლის შიდა შეფასების შედეგებთან და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ წარდგენილ წინადადებებსა და დაკავშირებულ მასწავლებლის საპრეტენზიო განაცხადებს;

ფ) შიდა შეფასება - მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ მასწავლებლის თვითშეფასებასა და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასებას;

ქ) გარე შეფასება - მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩატარებულ საგნის გამოცდასა და გარე დაკვირვებას;

ღ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფი - მასწავლებლის შეფასების მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი.

### **თავი III. მასწავლებლის მომზადებისა და საქმიანობის დაწყების წესი**

#### **მასწავლებლის განათლება და მასწავლებლობის უფლების მოპოვება**

მასწავლებლის მომზადების ახალი აკადემიური პროგრამების მიზანია მასწავლებლის პროფესიაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საუკეთესო ახალგაზრდების მოზიდვა და სისტემაში არსებული კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტის აღმოფხვრა, განსაკუთრებით რეგიონებში.

ამ მიზნის მიღწევამ უნდა უზრუნველყოს განათლების სისტემის სტრატეგიული მიმართულების - ხარისხიან ზოგად განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის - თვისობრივი განვითარება.

მასწავლებლის მომზადების უმაღლესი რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამები იქნება დივერსიფიცირებული. სახელმწიფო აღნიშნულ პროგრამების ხარისხის სამართავად იყენებს მაღალ პროგრამულ სტანდარტებს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო დაფინანსებით მიღებული კვალიფიკაციის სანდოობა და ვალიდობა.

მასწავლებლის საუნივერსიტეტო მომზადება 2016-2017 სასწავლო წლიდან განხორციელდება ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამით, რომელიც მოიცავს არანაკლებ 300 კრედიტსა.

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო აკადემიური პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ, სულ მცირე უფროსი მასწავლებლის კომპეტენციებთან.

**დაწყებითი განათლების მასწავლებლის** მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკადემიური პროგრამა (არანაკლებ 300 კრედიტი), სადაც:

- დაწყებითი საფეხურის საგნების/საგნობრივი ჯგუფების მოდული - მინიმუმ 180 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტების მოდული - მაქსიმუმ 60 კრედიტი;
- სასკოლო პრაქტიკის - მინიმუმ 60 კრედიტი;

სასკოლო პრაქტიკის მოდული უნდა შედგებოდეს ორი ძირითადი კომპონენტისაგან:

- ა) საგაკვეთილო პრაქტიკა;
- ბ) პრაქტიკის კვლევა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება დაწყებითი განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია, საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით.

**საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის** მომზადება განხორციელდება ორი გზით:

- ა) მიმდევრობითი პროგრამით, როდესაც აბიტურიენტი თავიდანვე არჩევანს აკეთებს მასწავლებლობის სასარგებლოდ;
- ბ) პარალელური პროგრამით, როდესაც სტუდენტი სწავლის პროცესში ირჩევს მასწავლებლის პროფესიას;

**მიმდევრობითი პროგრამა** - მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკადემიური პროგრამა (არანაკლებ 300 კრედიტი), სადაც:

- საგნის/საგნობრივი ჯგუფის მოდული - 120 კრედიტი;
- მასწავლებლის მომზადების მოდული - 60 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტების მოდული - მაქსიმუმ 60 კრედიტი;
- სასკოლო პრაქტიკის მოდული - მინიმუმ 60 კრედიტი;

სასკოლო პრაქტიკის მოდული უნდა შედგებოდეს ორი ძირითადი კომპონენტისაგან:

- ა) საგაკვეთილო პრაქტიკა;
- ბ) პრაქტიკის კვლევა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია, შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების სწავლების უფლების მითითებით.

**პარალელური პროგრამა** - ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, სადაც:

- ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითადი პროგრამის მოდული - 120 კრედიტი;
- მასწავლებლის მომზადების მოდული - 60 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტების მოდული - მაქსიმუმ 60 კრედიტი;
- სასკოლო პრაქტიკის მოდული - 60 კრედიტი.

სასკოლო პრაქტიკის მოდული უნდა შედგებოდეს ორი ძირითადი კომპონენტისაგან:

- ა) საგაკვეთილო პრაქტიკა;
- ბ) პრაქტიკის კვლევა

პროგრამის სრულად გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება განათლების მაგისტრის კვალიფიკაცია, შესაბამის საფეხურზე საგნის/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით.

*იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გაივლის პროგრამის ყველა მოდულს, გარდა სასკოლო პრაქტიკისა, მას მიენიჭება შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის კვალიფიკაცია და მიეცემა მასწავლებლის სერტიფიკატი.*

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკადემიური პროგრამების სრულფასოვნად ასამოქმედებლად საჭიროა გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები ხარისხის მართვისა და სახელმწიფო დაფინანსების სიტემების ჰარმონიზაციისათვის.

**მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკადემიური პროგრამის დასრულების შემდეგ მასწავლებლობის უფლების მოპოვება:**

- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო აკადემიური პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი ადასტურებს საგნობრივ, მეთოდურ, კვლევით და პრაქტიკულ კომპეტენციებს, რის შედეგადაც კურსდამთავრებულზე გაიცემა დიპლომი, რომელიც მას აძლევს მასწავლებლობის უფლებას.
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების შემთხვევაში კურსდამთავრებული არის უფროსი მასწავლებელი ერთწლიანი გამოსაცდელი ვადით.
- უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მას შემდეგ, რაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში წარმატებით გაივლის გარე დაკვირვებას;
- თუ მასწავლებელი ერთი წლის განმავლობაში წარმატებით ვერ დაძლევს გარე დაკვირვებას, შეიმუშავებს პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ გეგმას და მას ერთი წლით უხანგრძლივდება გამოსაცდელი პერიოდი გარე დაკვირვების გასავლელად.

მიმდევრობითი აკადემიური პროგრამების კურსდამთავრებულების პირველი გამოშვება იქნება 2020-2021 წელს.

ამის გამო საჭიროა კვალიფიციური მასწავლებლების რიგების შევსება ალტერნატიული გზით - მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებლად

ამოქმედება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაკუთრებულად იზრუნებს მის მიერ გამოვლენილი დეფიციტური მიმართულებების შევსებაზე.

### **მასწავლებლობის უფლების მოპოვება ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისთვის**

ა) ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებსაც მიღებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხი, მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად ვალდებული არიან წარმატებით გაიარონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განხორციელებული მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა.

- პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად, გარდა საკვალიფიკაციო მოთხოვნისა, განისაზღვრება შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარება;
- აპლიკანტთა დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ქვოტების შესაბამისად;
- მასწავლებლის მომზადების პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ პირზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს მის სამასწავლებლო კვალიფიკაციას და მას აძლევს მასწავლებლობის უფლებას;
  - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების შემთხვევაში კურსდამთავრებული არის უფროსი მასწავლებელი ერთწლიანი გამოსაცდელი ვადით.
  - უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მას შემდეგ, რაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში წარმატებით გაივლის გარე დაკვირვებას;
  - თუ მასწავლებელი ერთი წლის განმავლობაში წარმატებით ვერ დაძლევს გარე დაკვირვებას, შეიმუშავებს პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ გეგმას და მას ერთი წლით უხანგრძლივდება გამოსაცდელი პერიოდი გარე დაკვირვების გასაველეად.

ბ) მასწავლებლობის მსურველი, რომელსაც დიპლომის მიხედვით აქვს მასწავლებლობის უფლება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის დასაწყებად და უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად:

- მასწავლებლობის მსურველი აბარებს საგნის გამოცდას;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყების შემთხვევაში კურსდამთავრებული არის უფროსი მასწავლებელი ერთწლიანი გამოსაცდელი ვადით.
- უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მას შემდეგ, რაც ერთი სასწავლო წლის განმავლობაში წარმატებით გაივლის გარე დაკვირვებას;
- თუ მასწავლებელი ერთი წლის განმავლობაში წარმატებით ვერ დაძლევს გარე დაკვირვებას, შეიმუშავებს პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ გეგმას და მას ერთი წლით უხანგრძლივდება გამოსაცდელი პერიოდი გარე დაკვირვების გასაველეად.

## **მასწავლებლობის უფლების მოპოვება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისთვის**

ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის ან განათლების მიმართულების დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომელთაც არ აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება ან, სულ მცირე, 2011 წლიდან არ უმუშავიათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოიპოვებენ მასწავლებლობის უფლებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კურსის (პროფესიული უნარები და საგნის სწავლების მეთოდოლოგია), ან სხვა ორგანიზაციის მასწავლებელთა გადამზადების აკრედიტებული კურსის (პროფესიული უნარები და საგნის სწავლების მეთოდოლოგია) წარმატებით გავლის შემდეგ.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლად მუშაობის დაწყებისას მას ენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი;
- წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად საკმარისია საგაკვეთილო გარე დაკვირვება წარმატებით დაძლევა უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

## **მასწავლებლობის უფლების მოპოვება პირისთვის, რომელსაც 2014 წლის ბოლომდე მოპოვებული აქვს მასწავლებლის სერტიფიკატი**

პირს, რომელსაც 2014 წლის ბოლომდე მოპოვებული აქვს მასწავლებლის სერტიფიკატი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის დაწყებისას მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი და ერთვება სქემაში. თუ აღნიშნული მასწავლებელი ერთი წლის განმავლობაში წარმატებით ვერ დაძლევს გარე დაკვირვებას, შეიმუშავებს პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ გეგმას და მას ერთი წლით უხანგრძლივდება გამოსაცდელი პერიოდი გარე დაკვირვების გასავლელად.

### **თავი IV. საჯარო სკოლაში მასწავლებლის ვაკანსიის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების წესი**

საჯარო სკოლაში საგნის ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, ვაკანსია შეივსება შიდა კონკურსის საფუძველზე. შიდა კონკურსით მასწავლებლის ვაკანსიის ვერ შევსების შემთხვევაში, საჯარო სკოლა უფლებამოსილია გამოაცხადოს ღია კონკურსი.

დირექტორი უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საჯარო სკოლაში საგნის ვაკანტური საათები შეავსოს ღია კონკურსის გამოცხადების გზით.

საკონკურსო პირობებს კანონმდებლობის საფუძველზე ადგენს საჯარო სკოლის დირექტორი.

ვაკანტური ადგილის შესახებ კონკურსის გამოცხადება

განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდებზე - [www.pedagogi.ge](http://www.pedagogi.ge) -ზე. ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საჯარო სკოლაში მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

#### **შიდა და ღია კონკურსის ეტაპებია:**

- საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა;



- გასაუბრება;
- სხვა ეტაპები, რომელსაც დაადგენს საჯარო სკოლა.

### **კანდიდატების შერჩევა მასწავლებლის ვაკანსიაზე**

საკონკურსო კომისია განიხილავს ვაკანტურ პოზიციაზე შემოსულ განცხადებებს და გადაარჩევს იმ კანდიდატებს რომელთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დასტურდება მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისობა.

საჯარო სკოლა ვალდებულია, შეიმუშავოს შერჩევის ან/და შეფასების გამჭვირვალე და სანდო კრიტერიუმები, რაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

საკონკურსო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან. საკონკურსო კომისია შეიძლება შედგებოდეს საჯარო სკოლის თანამშრომლებისაგან, ასევე მოწვეული წევრებისაგან.

კომისიის მუშაობის წესი განსაზღვრული უნდა იყოს საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით.

### **შრომითი ხელშეკრულების დადება**

კანდიდატების შეფასების შემდეგ კომისია წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციას საჯარო სკოლის დირექტორს. რომელიც უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

## **თავი V. მასწავლებლის პროფესიული განვითარება**

მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას განაპირობებს ეროვნული სასწავლო გეგმა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.

### **მასწავლებლის სტატუსები**

მასწავლებლის სტატუსები ეფუძნება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სქემის ფარგლებში განისაზღვრება მასწავლებლების შემდეგი სტატუსები:

- პრაქტიკოსი მასწავლებელი - ვრცელდება მხოლოდ სქემაში განაწილებულ მოქმედ მასწავლებლებზე;
- უფროსი მასწავლებელი;
- წამყვანი მასწავლებელი;
- მენტორი.

მასწავლებლის მიერ სქემით განსაზღვრული სტატუსის მოპოვება, ან შენარჩუნება, ან შეწყვეტა დამოკიდებულია მისი პროფესიული საქმიანობის შეფასების შედეგებზე.

მასწავლებელს მიენიჭება ზემოთ ჩამოთვლილი სტატუსები, თუკი იგი დააგროვებს შესაბამისი სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრულ კრედიტულებს სქემითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში.

მასწავლებელი ინარჩუნებს უფროსი მასწავლებლის, ან წამყვანი მასწავლებლის, ან მენტორის სტატუსს, თუკი იგი დააგროვებს შესაბამისი სტატუსის შენარჩუნებისათვის განსაზღვრულ კრედიტულებს სქემითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში.

მასწავლებელი თუ ვერ დააკმაყოფილებს სტატუსის შენარჩუნებისათვის სქემით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მას უწყდება მინიჭებული სტატუსი და ენიჭება ქვედა სტატუსი, ან უწყდება შრომითი ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში.

მინიჭებული კრედიტულების საფუძველზე, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭების/შენარჩუნების/შეწყვეტის შესახებ წინადადებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აღნიშნულ წინადადებას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს წინასწარ განსაზღვრულ ვადებში ელექტრონული სისტემის საშუალებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი, მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წინადადების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭების/შენარჩუნების/შეწყვეტის შესახებ. მასწავლებელს სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს სასამართლოში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრი სტატუსის მინიჭებიდან 2 თვის ვადაში სერტიფიკატებს გადასცემს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს - საგანმანათლებლო რესურსცენტრებს (შემდგომში - საგანმანათლებლო რესურსცენტრი). საგანმანათლებლო რესურსცენტრი მასწავლებლის სერტიფიკატების მიღებიდან 20 დღის ვადაში უზრუნველყოფს სერტიფიკატების დარიგებას.

### **მასწავლებლის სტატუსების მისანიჭებლად აუცილებელი გზები და საშუალებები**

ყოველი მომდევნო სტატუსის მისაღწევად მასწავლებელმა უნდა გაიაროს პროფესიული განვითარების თანმიმდევრული გზა:

#### **უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად:**

პრაქტიკოსი მასწავლებელი აგროვებს 19 კრედიტულას მხოლოდ სავალდებულო აქტივობებით;

- პრაქტიკოსი მასწავლებელი ახორციელებს თვითშეფასებას თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით;
- პრაქტიკოსი მასწავლებელი თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე ადენს პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;
- პრაქტიკოსი მასწავლებელი აბარებს იმ საგნის გამოცდას, რომელსაც ასწავლის;
- პრაქტიკოსი მასწავლებელი გადის პროფესიული განვითარების კურსს პედაგოგიურ უნარებში;

- მასწავლებლის შეფასების ჯგუფი არანაკლებ ორჯერ აკვირდება პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და აფასებს გაკვეთილის შეფასების რუბრიკის გამოყენებით და აძლევს განმავითარებელ შეფასებას;
- მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დაკვირვების არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, პრაქტიკოს მასწავლებელს შეუძლია მოითხოვოს კიდევ ერთი დაკვირვების ჩატარება;
- პრაქტიკოსი მასწავლებელი მასწავლებლის პროფესიულ საქალაქში განათავსებს სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელ მის მიერ განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელსაც ასევე განათავსებს ელექტრონულ სისტემაში;
- მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ განხორციელებულ აქტივობებს, პროფესიულ საქალაქში არსებული დოკუმენტების საფუძველზე და იღებს გადაწყვეტილებას პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების ან პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის შეწყვეტის შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.

პრაქტიკოსი მასწავლებელი ფასდება მის მიერ განხორციელებული სავალდებულო აქტივობების შესაბამისად. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტულები განისაზღვრება შემდეგნაირად:

უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობები	კრედიტულები
საგნის გამოცდა	10
2 გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი	4
მასწავლებლის პროფესიულ უნარებში პროფესიული განვითარების კურსის გავლა, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების მიერ. სხვა დაწესებულების მიერ განხორციელებული პროფესიული განვითარების კურსი აუცილებელია იყოს აკრედიტებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	5
	ჯამი - 19

პრაქტიკოსი მასწავლებელი უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად კრედიტულებს აგროვებს არაუმეტეს ოთხი წლის განმავლობაში. ვინაიდან 2015-2016 სასწავლო წელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წლად, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად მასწავლებელს აღნიშნულ ვადაზე დამატებით მიეცემა ერთი წელი.

პრაქტიკოსი მასწავლებელი უფლებამოსილია სტატუსით განსაზღვრულ ვადაში დამატებითი საქმიანობებით დააგროვოს კრედიტულები, რომლებიც მას აესახება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი 3 წლის განმავლობაში ვერ ჩააბარებს საგნის გამოცდას ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ვერ დააგროვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელ კრედიტულებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გაწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია. მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის) მასწავლებლებისათვის, ასევე არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სექტორის მასწავლებლებისათვის, რომელთათვისაც საგნის გამოცდის ჩატარებას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის განსაზღვრული ვადის განმავლობაში ვერ უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, აღნიშნული შედეგი დადგება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მათთვის საგნის გამოცდის ჩატარების შემთხვევაში, მათ მიერ საგნის გამოცდის ვერ/არ ჩაბარებისას. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ აღნიშნული მასწავლებლებისათვის საგნის გამოცდის ჩატარების შემთხვევაში მათ მიერ საგნის გამოცდის ვერ/არ ჩაბარებამდე მასწავლებლები ინარჩუნებენ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს.

საგნის გამოცდის ჩატარებას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი:

- ა) ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებლებისთვის უზრუნველყოფს 2015 წლის განმავლობაში;
- ბ) მუსიკისა და სპორტის (ფიზიკური აღზრდის), ასევე არაქართულენოვანი სექტორის მასწავლებლებისთვის უზრუნველყოფს 2016 წლის განმავლობაში.

**უფროსი მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნების ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად:**

- უფროსი მასწავლებელი ახორციელებს თვითშეფასებას თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით;
- უფროსი მასწავლებელი თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე ადენს პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;
- მასწავლებლის შეფასების ჯგუფი არანაკლებ ორჯერ აკვირდება უფროსი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და აფასებს გაკვეთილის შეფასების რუბრიკის გამოყენებით და აძლევს განმავითარებელ შეფასებას;
- მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ გაკვეთილზე დაკვირვების არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, უფროს მასწავლებელს შეუძლია მოითხოვოს კიდევ ერთი დაკვირვების ჩატარება;
- უფროსი მასწავლებელი ერთხელ ვადის გარე დაკვირვებას;
- უფროსი მასწავლებელი მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში განათავსებს უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად მის მიერ განხორციელებული სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელსაც ასევე განათავსებს ელექტრონულ სისტემაში;
- მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს უფროსი მასწავლებლის მიერ განხორციელებულ სავალდებულო აქტივობებსა და დამატებით საქმიანობებს და მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის შეწყვეტის, ან

უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნების, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.

**უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად:**

უფროსი მასწავლებელი აგროვებს 13 კრედიტულას, საიდანაც 9 კრედიტულა სავალდებულო აქტივობების წილია, ხოლო 4 კრედიტულა - დამატებითი საქმიანობების.

უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, უფროსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტულები განისაზღვროს შემდეგნაირად:

უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად უფროსი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობები	კრედიტულები
2 გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი	4
გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	5
	ჯამი - 9 კრედიტულა

უფროსი მასწავლებელი უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტულებს აგროვებს ყოველი ოთხი წლის განმავლობაში. ვინაიდან 2015-2016 სასწავლო წელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წლად, უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად მასწავლებელს აღნიშნულ ვადაზე დამატებით მიეცემა ერთი წელი.

იმ შემთხვევაში, თუ უფროსი მასწავლებელი აღნიშნულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტულებს, უფროსი მასწავლებლის შეფასების შედეგების საფუძველზე, შედეგა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ინდივიდუალური ერთ წლიანი გეგმა.

თუ უფროსი მასწავლებელი მასწავლებლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტულებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შეწყვიტოს მასთან შრომითი ურთიერთობა და გამოაცხადოს ვაკანსია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად:**

უფროსი მასწავლებელი აგროვებს 19 კრედიტულას, რაც მოიცავს უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად საჭირო 13 კრედიტულას. ნაზარდი 6 კრედიტულიდან 4 კრედიტულა სავალდებულო აქტივობების წილია, ხოლო 2 კრედიტულა - დამატებითი

საქმიანობების. სავალდებულო აქტივობებს ემატება ერთი გაკვეთილის წარმართვა, რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი (2 კრედიტულა) და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა (2 კრედიტულა).

უფროსი მასწავლებელი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად კრედიტულებს აგროვებს არაუმეტეს ოთხი წლის განმავლობაში. ვინაიდან 2015-2016 სასწავლო წელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წლად, უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად მასწავლებელს აღნიშნულ ვადაზე დამატებით მიეცემა ერთი წელი.

#### **წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნების ან მენტორის სტატუსის მისანიჭებლად:**

- წამყვანი მასწავლებელი ახორციელებს თვითშეფასებას თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით;
- წამყვანი მასწავლებელი თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე ადგენს პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;
- წამყვანი მასწავლებელი ატარებს სამოდელო გაკვეთილებს;
- წამყვანი მასწავლებელი მასწავლებლის პროფესიულ საქალაქში განათავსებს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად ან მენტორის სტატუსის მისანიჭებლად აუცილებელი მის მიერ განხორციელებული სავალდებულო აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელსაც ასევე განათავსებს ელექტრონულ სისტემაში;
- მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს წამყვანი მასწავლებლის მიერ განხორციელებულ სავალდებულო აქტივობებსა და დამატებით საქმიანობებს და მასწავლებლის პროფესიულ საქალაქში არსებული დოკუმენტების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შეწყვეტისა და უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების, ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შენარჩუნების, ან მენტორის სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.

#### **წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად:**

წამყვანი მასწავლებელი აგროვებს 17 კრედიტულას, საიდანაც 10 კრედიტულა სავალდებულო აქტივობების წილია, ხოლო 7 კრედიტულა - დამატებითი საქმიანობების.

წამყვანი მასწავლებელი წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტულებს აგროვებს ყოველი ხუთი წლის განმავლობაში. ვინაიდან 2015-2016 სასწავლო წელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წლად, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად მასწავლებელს აღნიშნულ ვადაზე დამატებით მიეცემა ერთი წელი.

იმ შემთხვევაში თუ წამყვანი მასწავლებელი აღნიშნულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტულებს, მას შეუწყდება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი და მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, წამყვანი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტულები განისაზღვროს შემდეგნაირად:

წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად წამყვანი მასწავლებლისათვის სავალდებულო აქტივობები	კრედიტულები
5 სამოდელო გაკვეთილი	5
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა	3
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა	2
	ჯამში - 10 კრედიტულა

**მენტორის სტატუსის მისანიჭებლად:**

წამყვანი მასწავლებელი აგროვებს 25 კრედიტულას, რაც მოიცავს წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებელ 17 კრედიტულას.

ნაზარდი 8 კრედიტულიდან 5 კრედიტულა სავალდებულო აქტივობების წილია, ხოლო 3 კრედიტულა - დამატებითი საქმიანობების. სავალდებულო აქტივობებს ემატება 5 სამოდელო გაკვეთილის წარმართვა (5 კრედიტულა).

წამყვანი მასწავლებელი მენტორის სტატუსის მისანიჭებლად კრედიტულებს აგროვებს არაუმეტეს ხუთი წლის განმავლობაში. ვინაიდან 2015-2016 სასწავლო წელი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წლად, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად მასწავლებელს აღნიშნულ ვადაზე დამატებით მიეცემა ერთი წელი.

**მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად:**

მენტორი აგროვებს 30 კრედიტულას, საიდანაც 15 კრედიტულა სავალდებულო აქტივობების წილია, ხოლო 15 კრედიტულა - დამატებითი საქმიანობების.

- მენტორი ახორციელებს თვითშეფასებას თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით;
- მენტორი თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე ადენს პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას;
- მენტორი ახორციელებს პროფესიული განვითარების აქტივობებს;
- მენტორი ატარებს სამოდელო გაკვეთილებს;
- მენტორი მასწავლებლის პროფესიული საქალაქში განათავსებს მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელი მის მიერ განხორციელებული სავალდებულო

აქტივობებისა და დამატებითი საქმიანობების დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელსაც ასევე განათავსებს ელექტრონულ სისტემაში;

- მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს მენტორის მიერ განხორციელებულ სავალდებულო აქტივობებსა და დამატებით საქმიანობებს და მასწავლებლის პროფესიულ საქაღალდეში არსებული დოკუმენტების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის მენტორის სტატუსის შეწყვეტისა და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების, ან მენტორის სტატუსის შენარჩუნების შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.

მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად მენტორისათვის სავალდებულო აქტივობების შესაბამისი კრედიტქულები განისაზღვროს შემდეგნაირად:

მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად მენტორისათვის სავალდებულო აქტივობები	კრედიტქულები
5 სამოდულო გაკვეთილი	5
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეგენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა	3
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორობა	2
მასწავლებლების საჭიროების შეფასება და მის საფუძველზე მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების ღონისძიებების წარმართვა	3
სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება	2
	ჯამი - 15 კრედიტქულა

მენტორი მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად კრედიტქულებს აგროვებს არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში თუ მენტორი აღნიშნულ ვადაში ვერ დააგროვებს სულ მცირე მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელ კრედიტქულებს, მას შეუწყდება მენტორის სტატუსი და მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.

მენტორის მიერ მენტორის სტატუსის მინიჭებისათვის გათვალისწინებულ ვადაში მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად აუცილებელი კრედიტქულების ერთხელ დაგროვების შემთხვევაში, მენტორს მენტორის სტატუსი უნარჩუნდება უვადოდ.

**მასწავლებლის დამატებითი საქმიანობები და მათი შესაბამისი კრედიტქულები:**

დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი	კრედიტქულა
--------------------------------------	------------



მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრობა (გარდა მენტორისა)	მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორისათვის	3 კრედიტქულა
	მასწავლებლის შეფასების ჯგუფის სხვა წევრებისათვის	1 კრედიტქულა
პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარი) მომხსენებლად მონაწილეობა		1 კრედიტქულა
სტაჟირება პროფესიული განვითარების მიზნით, რომელიც დადასტურდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი ანგარიშის წარდგენით		1 კრედიტქულა
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა)		1 კრედიტქულა
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა	სტატიის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა)	1 კრედიტქულა
	მეთოდური ლიტერატურის შექმნა (გარდა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისა)	2 კრედიტქულა
	გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა	4 კრედიტქულა
სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება		2 კრედიტქულა

(მხოლოდ უფროსი მასწავლებლისათვის)		
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგ-მოდულის ავტორობა. სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგის აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა		2 კრედიტქულა
მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებლის თვითშეფასების საფუძველზე, მასწავლებლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგის ან/და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული ტრენინგის გავლა		25 საკონტაქტო საათი - 1 კრედიტქულა

### მასწავლებლის შეფასება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ზოგადად, განათლების ხარისხის გაუმჯობესება შეფასების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემის დანერგვის გარეშე წარმოუდგენელია. კარგად მომზადებული და ორგანიზებული შეფასება, საფუძვლიანი თვითშეფასებისა და შიდა შეფასების გზით, ემსახურება სასკოლო გარემოსა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, თითოეული მასწავლებლის პროფესიულ ზრდას. ეს ყველაფერი კი არის მნიშვნელოვანი საფუძველი ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების სისტემის შექმნისათვის. რაც, თავის მხრივ, არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების საწინდარი.

### მასწავლებლის შეფასების მიზანია:

- ა) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან მასწავლებლის კომპეტენციების შესაბამისობის დადგენა;
- ბ) მასწავლებლის შეფასების სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიურობის გაძლიერების ხელშეწყობა.

მასწავლებლის შეფასება ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს: სამართლიანობა, ობიექტურობა, ვალიდობა, თანასწორობა, სანდოობა, გამჭვირვალობა.

**მასწავლებელი ფასდება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ორი მიმართულებით:**

- ა) მოსწავლის შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის მართვა;
- ბ) პროფესიული განვითარება.

**მასწავლებლის შეფასება ხორციელდება შიდა და გარე შეფასებით:**

- ა) გარე შეფასება, რომელიც მოიცავს საგნის გამოცდასა და გარე დაკვირვებას;
- ბ) შიდა შეფასება, რომელიც მოიცავს მასწავლებლის თვითშეფასებას და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მასწავლებლის შეფასებას.

**მასწავლებლის თვითშეფასება**

1. მასწავლებლის თვითშეფასება ხორციელდება თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე. მასწავლებელი ვალდებულია, შეავსოს თვითშეფასების კითხვარი.
2. თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით მასწავლებელი:
  - ა) აფასებს საკუთარ საქმიანობას;
  - ბ) აკეთებს საკუთარი პროფესიული საქმიანობების ანალიზს;
  - გ) მოსწავლეების ინდივიდუალური მიღწევებისა და თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე ადგენს არანაკლებ ერთწლიან ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას, რომელშიც აისახება მასწავლებლის მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები.
  - დ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებს სასწავლო წლის განმავლობაში მის მიერ განხორციელებულ პროფესიულ საქმიანობას.

**გარე დაკვირვება**

უფროსი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად, საგაკვეთილო პროცესის ეფექტიანად წარმართვის შემოწმების მიზნით, მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი მხოლოდ ერთხელ ექვემდებარება გარე დაკვირვებას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებიდან ერთი წლის განმავლობაში.

**მასწავლებლის შეფასების ჯგუფი**

მასწავლებლის შეფასებას ახორციელებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი, რომელიც შედგება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის, დირექტორის მოადგილის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორის და შესაბამისი საგნობრივი/საგნობრივი ჯგუფის კათედრის მიერ 3 წლის ვადით წარდგენილი წევრისაგან.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი:

- ა) მასწავლებელს აძლევს განმავითარებელ შეფასებას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობებზე;
- ბ) მასწავლებელს ანიჭებს კრედიტულებს გაკვეთილზე დაკვირვების შედეგების საფუძველზე.
- გ) აფასებს მასწავლებლის პროფესიულ საქალაქში არსებულ დოკუმენტებს და ანიჭებს კრედიტულებს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) მასწავლებლისათვის მინიჭებული კრედიტქულების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისათვის წარდგენის შესახებ.

ფასილიტატორის ფუნქციები:

ფასილიტატორი ეხმარება მასწავლებლებს ინდივიდუალურ საჭიროებათა დადგენაში, პროფესიული განვითარების გეგმის შედგენასა და განხორციელებაში, მიღწეული შედეგების შეფასებაში. ფასილიტატორი მონაწილეობას მიიღებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფის საქმიანობაში.

ფასილიტატორის შერჩევის კრიტერიუმებს ადგენს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

### **გაკვეთილზე დაკვირვება და ჩატარებული გაკვეთილის შეფასება**

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილს და აფასებს გაკვეთილის შეფასების რუბრიკის გამოყენებით.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი მასწავლებელთან ერთად განიხილავს გაკვეთილზე დაკვირვების შედეგებს და გონივრულ ვადაში აძლევს მას განმავითარებელ შეფასებას წერილობითი ფორმით.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დაკვირვებების საფუძველზე, ანიჭებს მასწავლებელს კრედიტქულებს.

### **მასწავლებლის პროფესიულ საქალაქში არსებული დოკუმენტების შეფასება**

მასწავლებელი ვალდებულია მასწავლებლის პროფესიულ საქალაქში განათავსოს სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მისანიჭებლად/შესანარჩუნებლად აუცილებელი სავალდებულო და დამატებითი აქტივობების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები და განათავსოს ელექტრონულ სისტემაში.

### **მასწავლებლის შეფასების შედეგების განთავსება ელექტრონულ სისტემაში**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების განთავსება ელექტრონულ სისტემაში.

### **მასწავლებლის შეფასება, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში**

ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთსა და იმავე საგანს, შიდა შეფასებას გადის ელექტრონული სისტემაში მის მიერ არჩეულ ერთ-ერთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ორ ან მეტ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვადასხვა საგანს, შიდა შეფასებას გადის შესაბამის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც მიეთითება ელექტრონულ სისტემაში.

### **მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება**

მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი წინადადების ან/და საპრეტენზიო კომისიის მიერ, მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) მასწავლებლისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის ან მენტორის სტატუსის მინიჭების შესახებ;
- ბ) მასწავლებლისათვის უფროსი მასწავლებლის სტატუსის ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის ან მენტორის სტატუსის შენარჩუნების შესახებ;
- გ) მასწავლებლისათვის პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსის, ან უფროსი მასწავლებლის სტატუსის ან წამყვანი მასწავლებლის სტატუსის ან მენტორის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

### **გასაჩივრების უფლება**

მასწავლებელს უფლება აქვს:

- ა) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გაასაჩივროს მასწავლებლის შიდა შეფასების შედეგები და მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წინადადება;
- ბ) სასამართლოში გაასაჩივროს მასწავლებლისათვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

### **მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგი**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი უფლებამოსილია, მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განახორციელოს მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგი.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს რეკომენდაციების შესრულება და შესრულების შესახებ ინფორმაციის წარდგენა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში.

## თავი VI. მასწავლებელთა კარიერული წინსვლა

### მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილება

მოქმედი მასწავლებლების განაწილება სქემაში რეგულირდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესით“.

მასწავლებლები 2015 წლის 20 აგვისტოდან 2015 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით განაწილდებიან სქემაში. სქემაში ჩართვა სავალდებულოა და საჯარო სკოლის ყველა მასწავლებლისათვის, ხოლო კერძო სკოლებს ექნებათ არჩევანი ჩაერთონ სქემაში, ან ამოქმედონ მასწავლებლის შეფასების სქემასთან თავსებადი სისტემა, რითიც მასწავლებლებს არ შეეზღუდებათ უფლება განახორციელონ სკოლიდან სკოლაში მობილობა.

### სქემაში მასწავლებლების განაწილებისას:

**პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება** ყველა არასერტიფიცირებულ მოქმედ მასწავლებელს;

**უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება მოქმედ მასწავლებელს, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:**

ა) ამ სქემის ამოქმედების დროისათვის, არის სერტიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთ საგანში და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;

ბ) 2014 წლის ბოლომდე წარმატებით აქვს დამლული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილი, 2015 წლის ზაფხულის ჩათვლით წარმატებით ჩააბარებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი საგნის გამოცდას და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;

გ) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

**წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება** მოქმედ მასწავლებელს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და არის სერტიფიცირებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანში და ასწავლის ამავე საგნობრივ ჯგუფში შემავალ ერთ-ერთ საგანს;

**მოქმედ მასწავლებელს მენტორის სტატუსი მიენიჭება** მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განაწილების შედეგად მასწავლებელი მიიღებს თავისი სტატუსის შესაბამის სერტიფიკატს, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი გასცემს.

მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილების მიზნით იქმნება ელექტრონულ სისტემა.

## თავი VII. ელექტრონული სისტემის წარმოების წესი

ელექტრონული სისტემის წარმოების მიზანია მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილება, მასწავლებლის საქმიანობის შედეგების ელექტრონული აღრიცხვა, მასწავლებლის შეფასება და მასწავლებლის ელექტრონული პროფესიული საქაღალდის მართვა.

### ელექტრონული სისტემის წარმოება

ელექტრონული სისტემის წარმოებაზე უფლებამოსილნი არიან:

- ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება;
- ბ) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- გ) მასწავლებელი;
- დ) მასწავლებლის შეფასების ჯგუფი;
- ე) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

### ელექტრონულ სისტემაში შესატანი ინფორმაცია და ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირები

1. მოქმედი მასწავლებლების სქემაში განაწილების მიზნით ელექტრონულ სისტემაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოქმედი მასწავლებლის შესახებ უნდა განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) მოქმედი მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, მისამართი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით), ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- ბ) ინფორმაცია მოქმედი მასწავლებლის მიერ მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ან მისი ცალკეული ნაწილის წარმატებით დამღვეის, ასევე საგნობრივი გამოცდის ჩაბარების შესახებ;
- გ) ინფორმაცია მოქმედი მასწავლებლის განათლების, აკადემიური ხარისხის შესახებ;
- დ) ინფორმაცია მოქმედი მასწავლებლის სამუშაო გამოცდილების შესახებ.

2. მასწავლებლების სქემაში განაწილებისათვის აუცილებელია თითოეულმა მოქმედმა მასწავლებელმა ელექტრონულ სისტემაში გაიაროს ავტორიზაცია. ავტორიზაციის გავლის მიზნით მოქმედ მასწავლებელს ელექტრონულ სისტემაში შეჰყავს პირადი ნომერი, რომლის მეშვეობითაც ხდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემასთან პირის იდენტიფიცირება.

3. მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს მონაცემების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციის ატვირთვა ელექტრონულ სისტემაში.

4. ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი მასწავლებელი.

5. ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის სრულყოფილად და დროულად განთავსებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და დაკარგვის შესახებ წინადადების განთავსება ელექტრონულ სისტემაში.

7. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ელექტრონულ სისტემაში უნდა განთავსდეს:

ა) პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ საგნის გამოცდის ჩაბარების შედეგები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი პრაქტიკოსი მასწავლებლისათვის, შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და მასწავლებლის შეფასების ჯგუფისათვის;

ბ) გარე დაკვირვების შედეგები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი მასწავლებლისათვის, შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის და მასწავლებლის შეფასების ჯგუფისათვის.

8. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს, მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე დაკვირვებების შედეგების, შეფასებებისა და რეკომენდაციების განთავსებას ელექტრონულ სისტემაში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი მასწავლებლისათვის.

9. მასწავლებელი ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში მისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში განათავსოს მასწავლებლის პროფესიულ საქალაქო არსებული დოკუმენტები და ელექტრონულად შეავსოს თვითშეფასების კითხვარი.

10. მასწავლების პროფესიული საქალაქის შეფასების დასრულების შემდეგ, მასწავლებლის შეფასების ჯგუფი ელექტრონულ სისტემაში განათავსებს შეფასების შედეგებს.

11. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში კონკრეტული მასწავლებლისათვის განკუთვნილ ელექტრონულ სივრცეში განათავსოს მასწავლებლისათვის სტატუსის მინიჭებასთან, შენარჩუნებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

### **ელექტრონული სისტემის წარმოებისას დაშვებული შეცდომის გასწორება ან/და ჩანაწერში ცვლილების შეტანა**

1. ელექტრონული სისტემის წარმოებისას დაშვებული შეცდომის ან მონაცემებში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში, მის გასწორებას უზრუნველყოფს წარმოებაზე და ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირი.

2. ელექტრონულ სისტემაში მექანიკური შეცდომის გასწორებას ახორციელებს ელექტრონული სისტემის წარმოებაზე და ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელი პირი საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მიმართვის საფუძველზე. შეცდომის/უზუსტობის გასწორება ხდება ელექტრონული სისტემის შესაბამისი განყოფილების იმავე გრაფაში, შეცდომის/უზუსტობის გასწორების საფუძვლის და თარიღის მითითებით.

### **ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ მონაცემებზე წვდომის დონეები**

1. ელექტრონულ სისტემაში განთავსებულ მონაცემებზე წვდომა გულისხმობს ელექტრონული სისტემის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მონაცემების შეტანის, ნახვისა და შეცვლის უფლებას იმ მოდულების ფარგლებში, რომელზეც აქვს დაშვება ელექტრონული სისტემის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირს.

2. ელექტრონულ სისტემის მონაცემებზე წვდომის დონეები განისაზღვრება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.



3. ელექტრონული სისტემის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების წერილობითი მიმართვის საფუძველზე, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უფლებამოსილია თითოეულ პირს მისცეს ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი წვდომის დონე.

### თავი VIII. მასწავლებელთა სახელფასო ზრდის ეტაპები

#### მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განხორციელდება 3 ეტაპად:

1. საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქცია ითვალისწინებს მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოების გაანგარიშებას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით:
  - ა) მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია;
  - ბ) ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი საქმიანობა (შემდგომში -სამუშაო სტაჟი);
  - გ) სამუშაო დატვირთვა (მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა);
  - დ) სამუშაოს სპეციფიკა.
2. მოქმედი მასწავლებლების განაწილება სქემაში რეგულირდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესით“.
3. 2015 წლის 1 სექტემბრიდან მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განხორციელდება სქემის შესაბამისად, კერძოდ:
  - 3.1. მასწავლებლის საბაზო ანაზღაურება გაიზრდება 50 ლარით და გახდება 355 ლარი;
  - 3.2. მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოების გაანგარიშების კრიტერიუმების შესაბამისად, საბაზო ხელფასის ზრდით განისაზღვრება ახალი სახელფასო განაკვეთები:

განათლება და კვალიფიკაცია	სამუშაო სტაჟი		
	X <= 5 წელი	5 < X <= 10 წელი	X > 10 წელი
	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)		
სრული ზოგადი განათლება	337.3	353.2	358.6
პროფესიული განათლება	378.1	394.1	399.4
ბაკალავრიატი	418.9	434.9	440.2
მაგისტრატურა	459.7	475.7	481.0
დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	500.6	516.5	521.9

- 3.3. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 160 ლარით და უფროსი მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს:

უფროსი მასწავლებელი	სამუშაო სტაჟი		
	X <= 5 წელი	5 < X <= 10 წელი	X > 10 წელი
<b>განათლება და კვალიფიკაცია</b>	<b>თანამდებობრივი სარგო (ლარებში)</b>		
სრული ზოგადი განათლება	497.3	513.2	518.6
პროფესიული განათლება	538.1	554.1	559.4
ბაკალავრიატი	578.9	594.9	600.2
მაგისტრატურა	619.7	635.7	641.0
დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	660.6	676.5	681.9

- 3.4. თუ სქემაში უფროს მასწავლებლად განაწილებულ მოქმედ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა დანამატი/დანამატები (გარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატის, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატის, კლასის დამრიგებლობის დანამატის, მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატის და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატისა), რის გამოც მოქმედი მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტი იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატზე (160 ლარი), სქემაში უფროს მასწავლებლად განაწილების შემდგომ შეუნარჩუნდება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის ის ოდენობა, რომელიც ეძლეოდა მას სქემაში განაწილებამდე.
- 3.5. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 250 ლარით და წამყვანი მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს:

წამყვანი მასწავლებელი	სამუშაო სტაჟი		
	X <= 5 წელი	5 < X <= 10 წელი	X > 10 წელი
<b>განათლება და კვალიფიკაცია</b>	<b>თანამდებობრივი სარგო (ლარებში)</b>		
დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	750.6	766.5	771.9

- 3.6. თუ სქემაში წამყვან მასწავლებლად განაწილებულ მოქმედ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა

დანამატი/დანამატები (გარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატის, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატის, კლასის დამრიგებლობის დანამატის, მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატის და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატისა), რის გამოც მოქმედი მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტი იყო წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატზე (250 ლარი), სქემაში წამყვან მასწავლებლად განაწილების შემდგომ შეუნარჩუნდება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის ის ოდენობა, რომელიც ეძლეოდა მას სქემაში განაწილებამდე.

- 3.7. მასწავლებლების სქემაში განაწილების, შემდგომ მასწავლებელი მასწავლებლის საქმიანობას დაიწყებს ამ სქემით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 3.8. მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 300 ლარით.
- 3.9. ამ სქემით გათვალისწინებული დანამატების გარდა მასწავლებელს მიეცემა თანამდებობრივ სარგოებზე არსებული დანამატები:
  - 3.9.1. კლასკომპლექტით (ერთი მასწავლებლის მუშაობა ორ ან მეტ გაერთიანებულ კლასთან) სწავლების დანამატი;
  - 3.9.2. არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი;
  - 3.9.3. კლასის დამრიგებლობის დანამატი;
  - 3.9.4. მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატი;
  - 3.9.5. სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატი.
4. 2016 წლის 1 აპრილიდან მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განხორციელდება სქემის შესაბამისად, კერძოდ (მოცემულია პროგნოზირებადი მაჩვენებლები):
  - 4.1. მასწავლებლის საბაზო ანაზღაურება გაიზრდება 50 ლარით და გახდება 405 ლარი.
  - 4.2. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 180 ლარით.
  - 4.3. თუ სქემაში უფროს მასწავლებლად განაწილებულ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა დანამატი/დანამატები (გარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატის, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატის, კლასის

დამრიგებლობის დანამატის, მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატის და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატისა), რის გამოც მოქმედი მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტი იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატზე (180 ლარი), სქემაში უფროს მასწავლებლად განაწილების შემდგომ შეუნარჩუნდება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის ის ოდენობა, რომელიც ეძლეოდა მას სქემაში განაწილებამდე.

4.4. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 270 ლარით;

4.5. თუ სქემაში წამყვან მასწავლებლად განაწილებულ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა დანამატი/დანამატები (გარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატის, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატის, კლასის დამრიგებლობის დანამატის, მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატის და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატისა), რის გამოც მოქმედი მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტი იყო წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატზე (270 ლარი), სქემაში წამყვან მასწავლებლად განაწილების შემდგომ შეუნარჩუნდება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის ის ოდენობა, რომელიც ეძლეოდა მას სქემაში განაწილებამდე.

4.6. მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 400 ლარით.

4.7. ამ სქემით გათვალისწინებული დანამატების გარდა მასწავლებელს მიეცემა თანამდებობრივ სარგოებზე არსებული დანამატები:

4.7.1. კლასკომპლექტით (ერთი მასწავლებლის მუშაობა ორ ან მეტ გაერთიანებულ კლასთან) სწავლების დანამატი;

4.7.2. არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი;

4.7.3. კლასის დამრიგებლობის დანამატი;

4.7.4. მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატი;

4.7.5. სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატი.

5. 2017 წლის 1 იანვრიდან მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განხორციელდება სქემის შესაბამისად, კერძოდ (მოცემულია პროგნოზირებადი მაჩვენებლები):

- 5.1. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 320 ლარით;
- 5.2. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 500 ლარით;
- 5.3. მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 700 ლარით.
- 5.4. ამ სქემით გათვალისწინებული დანამატების გარდა მასწავლებელს მიეცემა თანამდებობრივ სარგოებზე არსებული დანამატები:
  - 5.4.1. კლასკომპლექტით (ერთი მასწავლებლის მუშაობა ორ ან მეტ გაერთიანებულ კლასთან) სწავლების დანამატი;
  - 5.4.2. არაქართულენოვან სკოლებში / სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი;
  - 5.4.3. კლასის დამრიგებლობის დანამატი;
  - 5.4.4. მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატი;
  - 5.4.5. სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატი.
6. სქემაში განაწილებულ მასწავლებელს, რომელსაც დადგენილი წესით შრომის ანაზღაურება ევსებოდა 1000 ლარამდე, უნარჩუნდება სქემაში განაწილებამდე არსებული მდგომარეობა (თანამდებობრივი სარგო დადგენილი წესით შეეესება 1000 ლარამდე), იმ დრომდე სანამ სქემით განსაზღვრული სტატუსისათვის მის მიერ მისაღები შრომის ანაზღაურების ოდენობა არ აღემატება 1000 ლარს.
7. ნაწილობრივი დატვირთვის დროს მასწავლებელს პროპორციულად უმცირდება თანამდებობრივი სარგო და თანამდებობრივ სარგოზე დანამატები (გარდა სადამრიგებლო დანამატისა).

### **თავი IX. გარდამავალი დებულებანი**

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლები შეფასდებიან მათ პორტფოლიოში არსებული დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

#### **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი:**

- ა) ამტკიცებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლის შეფასების სტანდარტიზებულ რუბრიკას/რუბრიკებს, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლის შეფასების მიზნით წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალსა და განცხადების ფორმას;
- ბ) განსაზღვრავს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს;
- გ) განსაზღვრავს განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლისათვის კრედიტულულების მინიჭების ვადებს.

მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართულ მასწავლებელს კრედიტულებად უღიარდება სქემის ამოქმედებამდე დაგროვებული კრედიტები.

მიუხედავად დადგენილი წესით მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში 2011-2014 წლებში ჩართული მასწავლებლისათვის აღიარებული კრედიტულებისა, მასწავლებელი ვალდებულია განახორციელოს სქემით განსაზღვრული შესაბამისი სტატუსის მისანიჭებლად სავალდებულო აქტივობები.

**მასწავლებლის შეფასება, რომელსაც წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი**

მასწავლებლის საქმიანობის განხორციელების უფლების შენარჩუნებისათვის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელსაც 2014 წლის ჩათვლით წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი, თავისუფლდება საგნის გამოცდის ჩაბარებისაგან.

**მასწავლებლის შეფასება, რომელსაც წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილი**

იმ მასწავლებელს, რომელსაც წარმატებით აქვს დაძლეული მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილი, უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადის პირველი სამი წლის განმავლობაში ჩააბარებს იმ საგნის გამოცდას, რომელსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის საგნის გამოცდის ჩატარება 2015 წელს**

2015 წელს საგნის გამოცდა ჩატარდება ერთხელ, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის საგნის გამოცდის ჩატარების წესის საფუძველზე განსაზღვრულ თარიღში.

**სქემაში განაწილებული უფროსი მასწავლებლებისათვის წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭება**

სქემაში განაწილებულ უფროს მასწავლებელს, რომელიც გაივლის ამ წესით დადგენილ გარე დაკვირვებას და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მინიჭებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში მოიპოვებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს განათლების მიმართულებით ან იმ დარგში/სპეციალობაში, რომლის შესაბამის საგანსაც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიენიჭება წამყვანი მასწავლებლის სტატუსი.

**მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირება**

2015-2016 სასწავლო წელი განსაზღვრულია მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების წლად.

მასწავლებლის შეფასების სისტემის პილოტირების განმავლობაში მასწავლებლის შეფასების შედეგები ექვემდებარება კრედიტულებად აღიარებას.



**განმარტებითი ბარათი**  
**„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით**

**ინფორმაცია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტის შესახებ**

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცებას. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის წარმოდგენილი სქემა (შემდგომში სქემა) სრულად პასუხობს საქართველოს ზოგადი განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს და მათი გადაჭრის კომპლექსურ მიდგომებს გვთავაზობს. იგი არის მასწავლებლის პროფესიის სახელმწიფო რეგულირების საფუძველი. სქემა ხარისხიანი განათლების დამკვიდრებას ემსახურება და ეფუძნება თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებს. სქემის უმთავრესი მიზანია მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება მასწავლებლის სისტემური პროფესიული განვითარების გზით. სქემის ამოცანაა მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიის პრესტიჟის ზრდას, საუკეთესო ახალი კადრების მოზიდვას, არსებული პედაგოგების კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების დღემდე მოქმედი სისტემა ვერ აღმოჩნდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ეფექტური საშუალება. ამასთან, ნაკლებად ხდება ახალი, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, რაც განპირობებულია მასწავლებელთა შრომის დაბალი ანაზღაურებით, პროფესიის დაბალი პრესტიჟითა და სელექციის არაკონკურენტული, მოუქნელი მექანიზმით. ასევე, შეიმჩნევა მასწავლებლობის მსურველ სტუდენტთა რაოდენობის კლების დინამიკა, დაბალია იმ აბიტურიენტების საგამოცდო შედეგები და სტუდენტების აკადემიური მოსწრება, რომელთაც განზრახული აქვთ მასწავლებლის პროფესიაში შესვლა.

მთელი რიგი რეგიონების საჯარო სკოლებში შეიმჩნევა გარკვეულ საგნებში კვალიფიციურ სპეციალისტთა დეფიციტი. ასევე, რიგ სკოლებში (განსაკუთრებით რეგიონებში) რამდენიმე საგანს ერთი და იგივე პედაგოგი ასწავლის, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ერთი საგნის სპეციალისტია. რაც, ბუნებრივია, ამცირებს სწავლა-სწავლების ხარისხს, პრესტიჟს უკარგავს სკოლას და ზოგადად, მასწავლებლის პროფესიას. მოქმედმა სისტემამ ვერ უზრუნველყო მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა ეფექტურობა. მასწავლებლის მომზადების არსებული აკადემიური პროგრამები ვერ უმკლავდება პროფესიაში არსებულ გამოწვევებს.

სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად შემუშავდა წინამდებარე სქემა.

სქემის დანიშნულებაა:

- მასწავლებელთა მოსამზადებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება;
- პროფესიაში შესვლის გზების დივერსიფიცირება და ხარისხის კონტროლი;
- პედაგოგთა მომზადების, პროფესიული განვითარებისა და შეფასების სისტემის ჰარმონიზაცია;



- პროფესიული განვითარების სისტემის გამართვა და დაკავშირება პროფესიულ საქმიანობასთან;
- პედაგოგთა შეფასების კომპლექსური და ეფექტიანი სისტემის შემუშავება, რომელიც დაკავშირებულია კარიერულ ზრდასთან და ანაზღაურებასთან;
- სკოლებზე პასუხისმგებლობის გადანაწილება და მათი აქტიური ჩართვა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებისა და შეფასების პროცესში.

სქემის დანერგვის შედეგად:

- ამოქმედდება მასწავლებელთა საქმიანობის შიდა შეფასების სამართლიანი და მოსწავლის ინტერესებზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც წახალისებს მასწავლებლების პროფესიული განვითარებას;
- ამოქმედდება მასწავლებლის მხარდამჭერი პროგრამები, რაც გულისხმობს მასწავლებლებისათვის დამატებითი სერვისების განსაზღვრასა და მიწოდებას;
- დაინერგება არსებითი სახელფასო განსხვავება სტატუსებს შორის და კარიერული წინსვლის მოქნილი მექანიზმი;
- პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა სტატუსის შესაბამისად აისახება შრომის ანაზღაურებაზე, რაც პროფესიაში ახალგაზრდების მოსაზიდად ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტიმულად იქცევა;
- სახელმწიფო სრულად დააფინანსებს მასწავლებლის მომზადების აკადემიურ პროგრამებსა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ქვოტების მიხედვით.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად სქემა არეგულირებს მასწავლებლის მომზადებისა და საქმიანობის დაწყების წესს, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის საკითხებს, მასწავლებელთა სახელფასო ზრდის გეგმას.

### **დადგენილების პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

დადგენილების პროექტის დაფინანსების წყაროა საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

დადგენილების პროექტის თანახმად, მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განხორციელდება 3 ეტაპად:

1. საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქცია ითვალისწინებს მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოების გაანგარიშებას შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით:

- ა) მასწავლებლის განათლება და კვალიფიკაცია;
- ბ) ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს საგანმანათლებლო და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი საქმიანობა (შემდგომში -სამუშაო სტაჟი);
- გ) სამუშაო დატვირთვა (მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა);
- დ) სამუშაოს სპეციფიკა.

2. მოქმედი მასწავლებლების განაწილება სქემაში რეგულირდება „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში მასწავლებლების განაწილების წესით“.

3. 2015 წლის 1 სექტემბრიდან მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განხორციელდება სქემის შესაბამისად, კერძოდ:

- 3.1. მასწავლებლის საბაზო ანაზღაურება გაიზრდება 50 ლარით და გახდება 355 ლარი;
- 3.2. მასწავლებლის თანამდებობრივი სარგოების გაანგარიშების კრიტერიუმების შესაბამისად, საბაზო ხელფასის ზრდით განისაზღვრება ახალი სახელფასო განაკვეთები:

განათლება და კვალიფიკაცია	სამუშაო სტაჟი		
	X <= 5 წელი	5 < X <= 10 წელი	X > 10 წელი
	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)		
სრული ზოგადი განათლება	337.3	353.2	358.6
პროფესიული განათლება	378.1	394.1	399.4
ბაკალავრიატი	418.9	434.9	440.2
მაგისტრატურა	459.7	475.7	481.0
დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	500.6	516.5	521.9

- 3.3. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 160 ლარით და უფროსი მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს:

უფროსი მასწავლებელი	სამუშაო სტაჟი		
	X <= 5 წელი	5 < X <= 10 წელი	X > 10 წელი
	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)		
განათლება და კვალიფიკაცია			
სრული ზოგადი განათლება	497.3	513.2	518.6
პროფესიული განათლება	538.1	554.1	559.4
ბაკალავრიატი	578.9	594.9	600.2
მაგისტრატურა	619.7	635.7	641.0
დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	660.6	676.5	681.9

- 3.4. თუ სქემაში უფროს მასწავლებლად განაწილებულ მოქმედ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა დანამატი/დანამატები (გარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატის, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატის, კლასის დამრიგებლობის დანამატის, მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატის და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის

ჩათვლით, მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატისა), რის გამოც მოქმედი მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტი იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატზე (160 ლარი), სქემაში უფროს მასწავლებლად განაწილების შემდგომ შეუნარჩუნდება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის ის ოდენობა, რომელიც ეძლეოდა მას სქემაში განაწილებამდე.

3.5. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 250 ლარით და წამყვანი მასწავლებლის თანამდებობრივი სარგო შეადგენს:

წამყვანი მასწავლებელი	სამუშაო სტაჟი		
	X ≤ 5 წელი	5 < X ≤ 10 წელი	X > 10 წელი
განათლება და კვალიფიკაცია	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)		
დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	750.6	766.5	771.9

3.6. თუ სქემაში წამყვან მასწავლებლად განაწილებულ მოქმედ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა დანამატი/დანამატები (გარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატის, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატის, კლასის დამრიგებლობის დანამატის, მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატის და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატისა), რის გამოც მოქმედი მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტი იყო წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატზე (250 ლარი), სქემაში წამყვან მასწავლებლად განაწილების შემდგომ შეუნარჩუნდება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის ის ოდენობა, რომელიც ეძლეოდა მას სქემაში განაწილებამდე.

3.7. მასწავლებლების სქემაში განაწილების, შემდგომ მასწავლებელი მასწავლებლის საქმიანობას დაიწყებს ამ სქემით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3.8. მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 300 ლარით.

3.9. ამ სქემით გათვალისწინებული დანამატების გარდა მასწავლებელს მიეცემა თანამდებობრივ სარგოებზე არსებული დანამატები:

3.9.1. კლასკომპლექტით (ერთი მასწავლებლის მუშაობა ორ ან მეტ გაერთიანებულ კლასთან) სწავლების დანამატი -0.1 კოეფიციენტი;

3.9.2. არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი - 0.1 კოეფიციენტი;

3.9.3 კლასის დამრიგებლობის დანამატი - 0.25 კოეფიციენტი;

3.9.4. მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატი - 0.08 კოეფიციენტი;

3.9.5. სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატი - მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე ეძლევა დანამატი ყოველ დამატებით საგაკვეთილო საათზე კვირაში 5 ლარის ოდენობით.

4. 2016 წლის 1 აპრილიდან მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განხორციელდება სქემის შესაბამისად, კერძოდ (მოცემულია პროგნოზირებადი მაჩვენებლები):

4.1. მასწავლებლის საბაზო ანაზღაურება გაიზრდება 50 ლარით და გახდება 405 ლარი.

4.2. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 180 ლარით.

4.3. თუ სქემაში უფროს მასწავლებლად განაწილებულ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა დანამატი (გარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატის, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატის, კლასის დამრიგებლობის დანამატის, მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატის და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატისა), რის გამოც მოქმედი მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტი იყო უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატზე (180 ლარი), სქემაში უფროს მასწავლებლად განაწილების შემდგომ შეუნარჩუნდება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის ის ოდენობა, რომელიც ეძლეოდა მას სქემაში განაწილებამდე.

4.4. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 270 ლარით;

4.5. თუ სქემაში წამყვან მასწავლებლად განაწილებულ მასწავლებელს სქემაში განაწილებამდე მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე ეძლეოდა დანამატი (გარდა კლასკომპლექტით სწავლების დანამატის, არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატის, კლასის დამრიგებლობის დანამატის, მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატის და სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებლის სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატისა), რის გამოც მოქმედი მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი აღნიშნული დანამატის/დანამატების ჯამური ოდენობა მეტი იყო წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატზე (270 ლარი), სქემაში წამყვან მასწავლებლად განაწილების შემდგომ შეუნარჩუნდება მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე გასაცემი დანამატის ის ოდენობა, რომელიც ეძლეოდა მას სქემაში განაწილებამდე.

4.6. მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 400 ლარით.

4.7. ამ სქემით გათვალისწინებული დანამატების გარდა მასწავლებელს მიეცემა თანამდებობრივ სარგოებზე არსებული დანამატები:

4.7.1. კლასკომპლექტით (ერთი მასწავლებლის მუშაობა ორ ან მეტ გაერთიანებულ კლასთან) სწავლების დანამატი -0.1 კოეფიციენტი;

4.7.2. არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი - 0.1 კოეფიციენტი;

4.7.3 კლასის დამრიგებლობის დანამატი - 0.25 კოეფიციენტი;

4.7.4. მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატი - 0.08 კოეფიციენტი;

4.7.5. სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატი - მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე ეძლევა დანამატი ყოველ დამატებით საგაკვეთილო საათზე კვირაში 5 ლარის ოდენობით.

5. 2017 წლის 1 იანვრიდან მასწავლებელთა სახელფასო ზრდა განხორციელდება სქემის შესაბამისად, კერძოდ (მოცემულია პროგნოზირებადი მაჩვენებლები):

5.1. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 320 ლარით;

5.2. წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 500 ლარით;

5.3. მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლის დანამატი სრული დატვირთვის შემთხვევაში განისაზღვრება არანაკლებ 700 ლარით.

5.4. ამ სქემით გათვალისწინებული დანამატების გარდა მასწავლებელს მიეცემა თანამდებობრივ სარგოებზე არსებული დანამატები:

5.4.1. კლასკომპლექტით (ერთი მასწავლებლის მუშაობა ორ ან მეტ გაერთიანებულ კლასთან) სწავლების დანამატი -0.1 კოეფიციენტი;

5.4.2. არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებზე ქართულის, როგორც მეორე ენის, საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის სწავლების დანამატი - 0.1 კოეფიციენტი;

5.4.3 კლასის დამრიგებლობის დანამატი - 0.25 კოეფიციენტი;

5.4.4. მოსწავლეებისათვის კლასის დამრიგებლის მიერ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვის დანამატი - 0.08 კოეფიციენტი;

5.4.5. სრულზე მეტი დატვირთვისათვის, კვირაში 19-დან 25 საგაკვეთილო საათის ჩათვლით, მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე არსებული დანამატი - მასწავლებელს სრული განაკვეთის თანამდებობრივ სარგოზე ეძლევა დანამატი ყოველ დამატებით საგაკვეთილო საათზე კვირაში 5 ლარის ოდენობით.

6. სქემაში განაწილებულ მასწავლებელს, რომელსაც დადგენილი წესით შრომის ანაზღაურება ევსებოდა 1000 ლარამდე, უნარჩუნდება სქემაში განაწილებამდე არსებული მდგომარეობა (თანამდებობრივი სარგო დადგენილი წესით შეეესება 1000 ლარამდე), იმ დრომდე სანამ სქემით განსაზღვრული სტატუსისათვის მის მიერ მისაღები შრომის ანაზღაურების ოდენობა არ აღემატება 1000 ლარს.

7. ნაწილობრივი დატვირთვის დროს მასწავლებელს პროპორციულად უმცირდება თანამდებობრივი სარგო და თანამდებობრივ სარგოზე დანამატები (გარდა სადამრიგებლო დანამატისა).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტში მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების გაზრდის მიზნით დამატებით 18 მლნ ლარია გათვალისწინებული, რაც შეეხება 2016 წელს, მასწავლებლის შრომის ანაზღაურების სავარაუდო ზრდისთვის საჭირო იქნება 2015 წელთან მიმართებაში დაახლოებით დამატებით 34 მლნ ლარი, ხოლო 2017 წელს 2016 წელთან მიმართებაში საჭირო იქნება დაახლოებით 49 მლნ ლარის დამატება.

სქემით წარმოდგენილი მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ზრდა დღევანდელ არსებულ მდგომარეობასთან მიმართებაში გამოიყურება შემდეგნაირად:

მასწავლებელთა საშუალო ხელფასის მაჩვენებელი										
კატეგორია	მასწავლებელთა სავარაუდო რაოდენობა	საშუალო ხელფასი 2014 წელი	საშუალო ხელფასი 2015 წლის 1 სექტემბრიდან	საშუალო ხელფასი 2016 წლის 1 აპრილიდან	საშუალო ხელფასი 2017 წლის 1 იანვრიდან	2015 წლის სექტემბრამდე ხელფასი თვეში	2015 წლის სექტემბრიდან ხელფასი თვეში	სხვაობა თვეში	სულ დამატებით 2015 წელს	
მენტორი			800	950	1,250				<b>4,496,592.6</b>	<b>17,986,370.2</b>
წამყვანი	100	463	650	750	1,000	46,294.8	65,000.0			
უფროსი	14,800	428	560	640	800	6,338,979.0	8,288,000.0			
პრაქტიკოსი	45,200	344	400	455	455	15,551,133.7	18,080,000.0			
<b>სულ</b>	<b>60,100</b>					<b>21,936,407.4</b>	<b>26,433,000.0</b>			

კატეგორია	მასწავლებელთა სავარაუდო განაწილება 2016 წლის აპრილისთვის	ხელფასის ზრდა 2016 წლის 1 აპრილიდან	სავარაუდო ზრდა 2016 წლის ბიუჯეტში
მენტორი	0.0	150.0	0.0
წამყვანი	100.0	100.0	90,000.0
უფროსი	17,500.0	80.0	12,600,000.0
პრაქტიკოსი	42,500.0	55.0	21,037,500.0
<b>სულ</b>	<b>60,100.0</b>		<b>33,727,500.0</b>

კატეგორია	მასწავლებელთა სავარაუდო განაწილება 2017 წლის იანვრისთვის	ხელფასის ზრდა 2017 წლის 1 იანვრიდან	სავარაუდო ზრდა 2017 წლის ბიუჯეტში
მენტორი	200.0	300.0	720,000.0
წამყვანი	2,000.0	250.0	6,000,000.0
უფროსი	21,900.0	160.0	42,048,000.0

პრაქტიკოსი	36,000.0	0.0	0.0
<b>სულ</b>	<b>60,100.0</b>		<b>48,768,000.0</b>

ზემოაღნიშნული მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ზრდის გათვალისწინებით სქემის განხორციელებაზე 2015 წელს დაახლოებით გახარჯულ იქნება 19660000 ლარი. დადგენილების პროექტის მიღება იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, თუმცა საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ გამოიწვევს დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

### **დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გავლენას მოახდენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე და მათ მასწავლებლებზე. აღსანიშნავია, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (კონსოლიდირებული ვერსია (12/09/2014 - 28/11/2014)) 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 2014 წლის ბოლომდე ყველა მოქმედ მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს უნდა ჩაებარებინა მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა, რათა მოეპოვებინა მასწავლებლობის უფლება. დღეს მოქმედი 65000 მასწავლებლიდან სერტიფიცირებულია დაახლოებით მხოლოდ 17000 მასწავლებელი, შესაბამისად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (კონსოლიდირებული ვერსია (12/09/2014 - 28/11/2014)) 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის ამოქმედებით მასწავლებლობის უფლებას დაკარგავდა დაახლოებით 48000 მასწავლებელი. სერტიფიცირების მოდელისაგან განსხვავებით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვა მასწავლებელს საშუალებას მისცემს თანმიმდევრულად განავითაროს საკუთარი პროფესიული უნარები, რის შედეგადაც მოიპოვებს მასწავლებლის შესაბამის სტატუსს.

### **დადგენილების პროექტის განხორციელების ვადები**

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე დავალებას, რომლის შესრულებაც საჭიროებს ვადას.

### **დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი**

დადგენილების პროექტის ავტორია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო წარმდგენია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

დადგენილების პროექტი წარმოდგენილ იქნა სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 2 თებერვლის N71457 მომართვით.